3

ქართული

მოსწავლის წიგნი
ნაწილი II

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

შინაარსი

თავი 6.

სამშობლო 6

გერბი, დროშა და ჰიმნი 7
ხატის წინ *აკაკი წერეთელი* 11
საქართველო და მისი ნაწილები *იაკობ გოგებაშვილის მიხედვით* . . . 12
სიმღერა *ვაჟა-ფშაველა* 13
გაზაფხული *ილია ჭავჭავაძე* 14
გრამატიკა. ერთმანეთის მონაცვლე ზმნები 15
პატარა ბედუინის სიზმარი *დავით ჯავახიშვილი* 16
გრამატიკა. ზედსართავი სახელი 17
გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიდან 18

თავი 7.

კარგი და ცუდი 19

ორი ამხანაგი *ეზოპე* 20
კარგი ოინი *როდიონ ქორქია* 21
გრამატიკა. ნაცვალსახელი 23
ორი ამბავი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან 24
გრამატიკა. ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში 28
თეთრი ქალაქი (ზღაპარი) *ნინო ცირამუა* 29
გრამატიკა. მხოლობითი და მრავლობითი 34
დაყვედრება ტყვეობაზე უარესია *სულხან-საბა ორბელიანი* 35
გულწრფელი პასუხი *სულხან-საბა ორბელიანი* 36
ბუტიას კერძი ტკბილია *გიორგი შატბერაშვილი* 37

თავი 8.

სახალისო ამბები 39

ყიყინა საფოსტო ყუთი *დონალდ ბისეტი* 40
ბულბული და ყიყინა *ქეთევან ჭილაშვილი* 42
გრამატიკა. ზმნა და დრო 44
მომავალი დრო. 45
მარგალიტი *იაკობ გოგებაშვილი* 46
თეორია. იუმორი. 47
წვეულება. 48
დათვის წვეულება *ივანე კრილოვი*. 49
თეორია. იუმორი ხატოვან გამოთქმებში 51
ამპარტავანი ნოტი სი *ედიშერ ყიფიანი* 52

თავი 9.

საქმე 57

ერთი მანეთის შოვნა *ხალხური* 58
გრამატიკა. თავაზიანი საუბარი 61
ჭრიჭინა და ჭიანჭველა *ივანე კრილოვი* 62
გრამატიკა. პირველი პირი და მეორე პირი 63
სიკეთის უკვდავება *იაკობ გოგებაშვილი* 64
ანდაზები 66

თავი 10.

ოჯახი 67

ჩხიკვთა ქორწილი *ვაჟა-ფშაველა* 68
თეორია. პერსონაჟი 70
გრამატიკა. ჩამოთვლა 73
გრამატიკა. ზმნა და ასო „ჰ“ 77
დედა ჩიტი *ილია ჭავჭავაძის მიხედვით* 78
უმცროსი და 79
გრამატიკა. სახელით მიმართვა 80
პაპა და შვილიშვილი *ვლადიმერ ასლამაზიშვილის მიხედვით* 81
გრამატიკა. თხრობითი და კითხვითი წინადადებები 83

თავი 11.

ერთი კაცის თავგადასავალი 84

ნაცარქექია (ქართული ხალხური ზღაპარი) 85
გრამატიკა. ბრძანებითი წინადადება 87
გრამატიკა. წერტილი, ორწერტილი, სამი წერტილი 92
ცოტნე დადიანი (ისტორიული ამბავი) 93
გრამატიკა. ბრჭყალები 96

თავი 6

მე-

სამშობლო

აქ შეისწავლი...

- გერბი, დროშა და ჰიმნი
- ხატის წინ
- საქართველო და მისი ნაწილები
- სიმღერა
- გაზაფხული

გრამატიკა. ერთმანეთის მონაცვლე ზმნები

- პატარა ბედუინის სიზმარი

გრამატიკა. ზედსართავი სახელი

- გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიდან

გერბი, დროშა და ჰიმნი

საქართველოს სახელმწიფო
გერბი

საქართველოს სახელმწიფო
დროშა

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი
„თავისუფლება“

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას.
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ტექსტი შეადგინა დავით მაღრაძემ

ეს საქართველოს რუკაა. მასზე გამოსახულია საქართველოს რეგიონები და მთავარი ქალაქები.

რუსეთი

1. რუკაზე მოძებნე: მღვიმე, ჩან-ჩქერი, გვირაბი, გასართობი პარკი, სვანური კოშკი.
2. რა არის ?
3. რამდენ სხვადასხვა ადგილასაა რუკაზე?
4. წაიკითხე და ამოკრიბე რეგიონების სახელები.
5. ამოიწერე საქართველოს მთავარი ქალაქები და დაალაგე ანბანის მიხედვით.

***

დედამიწაზე 200-მდე სახელმწიფოა. ერთ-ერთი მათგანია საქართველო. ყველა ქვეყანას აქვს თავისი დროშა, ჰიმნი და გერბი.

როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რამ ხდება, ჰიმნს უკრავენ. ამ დროს ყველა ფეხზე დგება და ხელს გულზე იდებს.

სპორტსმენები ასპარეზობისას თუ გაიმარჯვებენ, მათ პატივსაცემად მათივე ქვეყნის სახელმწიფო დროშას აღმართავენ და ჰიმნს უკრავენ.



უპასუხე კითხვებს

1. რა აქვს სათაურად საქართველოს ჰიმნის ტექსტს?
2. ჩამოთვალე საქართველოს მეზობელი ქვეყნები რუკის დახმარებით.
3. რუკის მიხედვით, რომელ ქვეყნებს ესაზღვრება შავი ზღვა?

მოძებნე

4. დააკვირდი 96-97-ე გვერდებზე მოცემულ რუკას და იპოვე:
   - საქართველოს რომელ რეგიონში მდებარეობს გონიოს ციხე? ახალი ათონი? ალავერდი? ნიკორწმინდა? შატილი?
   - სვეტიცხოველი რომელ ქალაქშია?
   - სად მდებარეობს გელათი, რომელ რეგიონში და რომელ ქალაქთან ახლოს?

დაწერე

5. რუკის დახმარებით აღწერე საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი **სამცხე-ჯავახეთი**. აღნიშნე, რომელია ამ კუთხის დიდი ქალაქი; რომელი მდინარე ჩამოედინება ამ კუთხეში; მდებარეობს თუ არა აქ ტბა, რომელიმე ისტორიული ძეგლი; აღნიშნე, რა მცენარეები ხარობს სამცხე-ჯავახეთის მიწაზე.

მოისმინე

6. ერთად მოისმინეთ საქართველოს ჰიმნი და ეცადეთ, თქვენც იმღეროთ.

ხატის წინ

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?

აკაკი წერეთელი

უპასუხე კითხვებს

1. რასთან არის შედარებული სამშობლო?

2. საქართველოს ჰიმნში ამ ლექსის რომელი სტრიქონია გამოყენებული?

3. რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი?

ა. ხატის წინ სანთელს ანთებენ;

ბ. ადამიანს სამშობლოსთვის ზრუნვა შეუძლია.

გ. სანთელი სიბნელეს ფანტავს.

4. რამდენი სტროფია ლექსში? რამდენი მარცვალია თითოეულ სტრიქონში?

მოძებნე

5. შენი აზრით, რა არის სახატე? რას შეადარა სახატე ავტორმა? რომელ სტროფშია ამ კითხვაზე პასუხი?

დაწერე

6. ლექსი რვეულში ყურადღებით გადაიწერე.

7. ლექსიდან ამოიწერე გარითმული სიტყვების ის წყვილი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა.

8. ამოიწერე ლექსიდან: ხუთი ზმნა, ხუთი არსებითი სახელი.

9. გადაიწერე წინადადებები და სწორად გაანაწილე გამოტოვებული სიტყვები: **ყველა, ზოგი, არც ერთი**

ა. _____ ადამიანი ფიქრობს, რომ _____ ქვეყანა არ არის ისე ლამაზი, როგორც მისი სამშობლო.

გ. უდაბნოში გაზრდილმა ბიჭმა იცოდა, რომ არის სხვა ქვეყნებიც, _____ – უხვწყლიანი, _____ – მთიანი.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

საქართველო და მისი ნაწილები

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთისა და იმავე მშობლების შვილებს გვარი ერთი აქვთ, მაგრამ სახელები სხვადასხვა ჰქვიათ. ამის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის კუთხეებს, ანუ ნაწილებს, გვარ-ტომობის სახელი ერთი აქვს – საქართველო; მაგრამ, ამავე დროს, თითოეულ ნაწილს თავისი სახელი ჰქვია, სწორედ ისე, როგორც ღვიძლ დებსა და ძმებს. აი, ეს სახელები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, აფხაზეთი.

ქართლსა და იმერეთს შუა გაწოლილია ერთი გრძელი მთა, რომელსაც სურამის მთას ვუწოდებთ. ეს მთა საქართველოს ყოფს ორ ნაწილად: აქეთა ნაწილს ჰქვია აღმოსავლეთ საქართველო, იქითა ნაწილს – დასავლეთ საქართველო.

საქართველოს ესაზღვრება: ჩრდილოეთით კავკასიის მთები, დასავლეთით – შავი ზღვა, აღმოსავლეთით – დაღესტნის მთები, სამხრეთით – სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით